ო ქ მ ი N 4

ხობი მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომისა.

ქ. ხობი. 2023 წლის 24 აპრილი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ვლადიმერ ქანთარია

2.ფრიდონ კუკავა

3.ბექა ხარბედია

4.აკაკი ხურცილავა

5.დიტო ხასია

6.ბადრი რიჟამაძე

7.ჯანსუღ ჯიშკარიანი

8.მოგელი ხუხია

9.გურიელ ქარდავა

10.მალხაზ იოსავა.

მოწვევით: რ. ზაქარაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;

გ. ჩაბალუხა -ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროს;

ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი;

დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე.

დღის წესრიგი:

1.ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მ. იოსავას 2023 წლის 28 თებერვლის წერილის განხილვა (დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნაზე)

+ + +

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - არც ერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მ. იოსავას 2023 წლის 28 თებერვლის წერილის განხილვა (დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო, საკრებულოს წევრის მ. იოსავას განცხადების შინაარსი, დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე. (მ. იოსავას განცხადება ოქმს თან ერთვის).

განმცხადებელს მერიის შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელებისა და კომისიის წევრების მხრიდან მიეწოდა შესაბამისი ამომწურავი ინფორმაცია, იქვე განემარტა, რომ მ. იოსავას, როგორც საკრებულოს წევრს შეუძლია საკრებულოს სხდომაზე დასვას შეკითხვები მერიის წარმომადგენლების წინაშე, ასევე წერილობით მიმართოს მათ მისთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. იოსავამ მხარი დაუჭირა ინიციატივას სამუშაო ჯგუფის თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება მ. იოსავას განცხადების საფუძველზე სამუშაო ჯგუფის შექმნის მიზანშეწონილობის თაობაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 1, წინააღმდეგი 9.

დაადგინეს: კომისიის მხრიდან უარი ეთქვას საკრებულოს წევრს მ. იოსავას დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარე: ვ. ქანთარია /ვ. ქანთარია/